საქართველოს მთის ტყის არამერქნული რესურსები და მათი გამოყენების გეოგრაფიული თავისებურებები

თეონა ქობალია

ელ-ფოსტა: teona.kobalia636@ens.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

თემის აქტუალურობა დაკავშირებულია ტყის არამერქნულ რესურსებთან და მათგან შემოსავლის მიღების შსაძლებლობებთან. საქართველო ტყის რესურსებით მდიდარია, თუმცა ძირითადი აქცენტი მერქნულ რესურსებზე კეთდება. საქართველოს ტყეებში არაერთი სხვა რესურსია, რომელთაც ძალიან დიდი კვებითი, სამედიცინო, დეკორატიული და სხვა დანიშნულება აქვთ. განსაკუთრებით დიდი რესურსია (ველური ხილის სახით) იმ არეალებში, სადაც მოსახლეობა პრაქტიკულად აღარ ცხოვრობს, ამგვარ პროდუქტებზე დიდი მოთხოვნაა ევროპაში, რაც ჩვენი მოსახლეობისთვის მძლავრი შემოსავლის წყარო შეიძლება გახდეს.

ნაშრომის შესრულების შედეგებს არსებითი როლი ენიჭება საქართველოში ტყის არამერქნული რესურსების შესწავლისთვის. ამგვარი რესურსების გამოყენება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის წყარო შეიძლება გახდეს. მისი მეშვეობით შესწავლილი იქნება, როგორც საქართველოს ტყის არამერქნული რესურსების ცალკეული სახეები, ისე მათი გავრცელების გეოგრაფიული თავისებურებანი და გამოყენების შესაძლებლობები.

კვლევასთან დაკავშირებულია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

1. შესწავლილ იქნას ტყის რესურსების არამერქნული სახეობები და მათი მნიშვნელობა;

2. გამოვლინდება საქართველოს ტყის არამერქნული რესურსების გეოგრაფიული თავისებურებანი;
3. შესწავლება საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესის ინტერესები ტყის არამერქნული რესურსების მიმართ;
4. პირველად გამოვლინდება ადგილობრივი მოსახლეობის (მცხეთა-მთიანეთი) ინტერესები და შესაძლებლობები ტყის არამერქნული რესურსების მოპოვების და რეალიზაციის სფეროში სოციოლოგიური გამოკითხვის და ანალიზის მეშვეობით.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს რეგიონებში ეკონომიკის სხვა (მათ შორის კვების მრეწველობის) დარგების განვითარებას, რაც საბოლოოდ, განაპირობებს

საქართველოს მთიანი ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და მოსახლეობის მიგრაციის პრევენციას.